საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

ს/კ 202178927

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY

KA030452698103820

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/13983 **29 / ივნისი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს, ბატონ ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ნოემბრის N01-342/ო ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2020 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების კორექტირებულ გეგმას დანართის მიხედვით. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით:

1. სოციალური მომსახურების სააგენტოს ესაჭიროება, ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლამტაცია'' სახელმწიფო პროგრამის, ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლე პაციენტთა, მომწოდებლის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების შესყიდვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბატონი ზაზა ჭანტურიას № 04-4258 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლამტაცია'' სახელმწიფო პროგრამის, ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლე პაციენტთა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმა დაკორექტირდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაგციით CPV კოდი 60100000 (საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 58) და მისი ღირებულება განისაზღვროს 29,000 ლარით.

2. სოციალური მომსახურების სააგენტოს ესაჭიროება, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ერთკამერიანი კარდიოვერტერ-დეფიბრილატორის, ორკამერიანი კარდიოვერტერ-დეფიბრილატორისა და რესინქრონიზატორ-დეფიბრილატორის შესყიდვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის ბატონი გიორგი ჭავჭავაძის № 01/4984 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ერთკამერიანი კარდიოვერტერ-დეფიბრილატორის, ორკამერიანი კარდიოვერტერ-დეფიბრილატორისა და რესინქრონიზატორ-დეფიბრილატორის შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატოს CPV კოდი 33190000 (სხვადასხვა სამედიცინო აპარატურა და პროდუქტები: რიგითი ნომრით თანდართულ ცხრილში - 23) და მისი ღირებულება განისაზღვროს 3,500,000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით.

3. სააგენტოს ესაჭიროება სააგენტოს თანამშრომელთათვის მობილური სატელეფონო კავშირის მომსახურებები (კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში) ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის, ბატონი გიორგი გოგოლაძის N04-5523 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა სააგენტოს თანამშრომელთათვის მობილური სატელეფონო კავშირის მომსახურებების, შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 64212000 (მობილური სატელეფონო კავშირის მომსახურებები; რიგითი ნომერი თანდართულ ცხრილში - 70) და მისი ღირებულება განისაზღვრა 120,000 ლარით.

4. მოხდეს CPV კოდი 45111300 (დემონტაჟის სამუშაოები) გაუქმება (რიგითი ნომერი ცხრილში - 48; შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა)

5. სოციალური მომსახურების სააგენტოს ესაჭიროება, ჯავახიშვილის ქ. N51-ში პირველ სართულზე განთავსებულ სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტს 4 (ოთხი) ეთეული კონდეციონერის დემონტაჟი -მონტაჟის მომსახურების შესყიდვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის, ბატონი ზაზა ჭანტურიას № 04-5341 მოხსენებითი ბარათის თანახმად, საჭიროა კონდეციონერის დემონტაჟი -მონტაჟის მომსახურების შესყიდვა:

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმას დაემატა CPV კოდი 50730000 (გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება: რიგითი ნომრით 53) და მის ღირებულებად განისაზღვრა 700 ლარით.

დანართი: სახელმწიფო შესყიდვების გეგმა - Excel-ის ფორმატის 1 (ერთი) ფაილი.

პატივისცემით,

დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან გოგოძე